საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-208

17/03/2022

ქ. თბილისი

„ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მიერ წარმოდგენილ შპს „ATOLL PAINT COMPANY"-ს ლაქ-საღებავების მასალების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 31 აგვისტოს №ი-236 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2022 წლის 16 თებერვალს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა წარმოადგინა ინფორმაცია შპს „ATOLL PAINT COMPANY"-ს ლიკვიდაციის შესახებ ითხოვა 2012 წელს გაცემული №35 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ATOLL PAINT COMPANY"-ს ლაქ-საღებავების მასალების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე (ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა) გაიცა №35 (30/08/2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

წარმოდგენილი ინფორმაცია შპს „ATOLL PAINT COMPANY"-ს ლიკვიდაციის შესახებ დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

აღნიშნული გარემოებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 46-ე მუხლის მე-5 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მიერ წარმოდგენილ შპს „ATOLL PAINT COMPANY"-ს ლაქ-საღებავების მასალების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 31 აგვისტოს №ი-236 ბრძანება;
2. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი